

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ადმასრულებელი საბჭოს
სხდომა**

31 მარტი 2009 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. №75

სხდომის დაწყების დრო: 18:00სთ.

სხდომაზე დამსწრე ადმასრულებელი საბჭოს წევრები:

გოჩა სვანიძე (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), დავით ასათიანი, ზვიად კორძაძე, როინ მიგრიაული, ზაზა ხატიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: გოჩა სვანიძე

დღის წესრიგი:

1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით

სხდომამ მოისმინა:

გოჩა სვანიძე – აღსანიშნავია თავმჯდომარისა და ადმასრულებელი საბჭოს ურთიერთობის საკითხი, იყო რაღაც საკითხები, სადაც ერთობლივად ვერ წყვეტდნენ. ამ მოდელში ადმასრულებელი საბჭო და არჩეული თავმჯდომარე დაუპირისპირდება ერთმანეთს და ეს მოხდება ყოველთვის რაღაცის ხარჯზე, ის პოზიტივისკენ მიმართული არასოდეს არ იქნება, თუკი საბჭოა პასუხისმგებელი რიგ საკითხებზე მაშინ ადმასრულებელმა საბჭომ მართოს სიტუაცია მთლიანად. და თუ ადმასრულებელმა საბჭომ უნდა მართოს მაშინ ხელისშემშლელი ფაქტორია არჩეული თავმჯდომარე, რომელიც შეეცდება საკუთარი გეზით სვლას. და მაშინ არჩევის მიზანშეწონილობა რაში მდგომარეობს? ეს რაღაცნაირად უნდა დაბალანსდეს.

ზვიად კორძაძე – მე მაქვს კიდევ ერთი საკითხი, მე პირადად ეთიკის კომისიაში 3 წევრის მოწვევას ვეწინააღმდეგები.

გოჩა სვანიძე – მაგას მეც ვეწინააღმდეგები, მაგრამ ეს არის წმინდა ტექნიკური საკითხი. ამ დოკუმენტზე მუშაობისას გამოიკვეთა აზრი, და აქვე მოშველიებულ იქნა სხვა ქვეყნების მაგალითებიც, რომ მსგავს სიტუაციებში

ჩართულები არიან მოსამართლეებიც და პროკურორებიც, და მე ამ აზრს მაშინვე შევეწინააღმდეგე, რადგან თუ ინტეგრაციაზე საუბარი ეს ორმხრივი უნდა იყოს. და ამის საპასუხო არგუმენტი იყო ის, რომ სახელმწიფო მზად არის იუსტიციის საბჭოში ადვოკატებს მიეცეს ადგილი. ანუ ამაზე საწინააღმდეგო აზრის დაფიქსირება არ იქნებოდა ჩვენი მხრიდან მართებული, რადგან ასოციაციას კანონი არ უკრძალვას ეთიკის კომისიის თხუთმეტივე წევრის არჩევას.

დავით ასათიანი – ეს პროცესი მხარდაჭერილია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კერძოდ, ABA, GTZ, CCBE. მე თუ მკითხავთ, საზოგადოებრივი ჩართულობის კუთხით და ტრანსფარანტულობისა და ნდობის კუთხით, თვითონ ეთიკის კომისიას არ აქვს ნდობა ადვოკატთა კორპუსის.

ზაზა ხატიაშვილი - როგორ არ აქვს ნდობა ეთიკის კომისიას, კომისიის წევრები იყვნენ გმირები, რადგან არცერთი სანქცია არ ყოფილა გამოყენებული სახელმწიფოს დაკვეთით.

დავით ასათიანი – აქ სახელმწიფო მოთხოვნა არაფერშია, ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიას არ აქვს მიღებული არცერთი განაცხადი. ჩვენ ეხლა ვაყალიბებთ ამ ინსტიტუტის განვითარების გზას. ეხლა არის ზუსტად ის სიტუაცია როცა უნდა მოვიპოვოთ ნდობა საზოგადოებაში, ნობის არარსებობაზე მეტყველებს ისიც, რომ სულ შემოსულია 124 საჩივარი 3 წლის განმავლობაში,

ზაზა ხატიაშვილი – ეს ახალი ინსტიტუტია და იმიტომ.

დავით ასათიანი – იმისათვის რომ ბოლო მოეღოს პროკურატურის მიერ ადვოკატების დაჭერებს, ეს ინსტიტუტი უნდა ამოქმედდეს და ვისაც პატარა საყვედური აქვს სათქმელი იმას უნდა ეთქვას ჩვენს მიერ, ან სარეკომენდაციო ხასიათის წერილი უნდა მივწეროთ, რაც არ გამოუყენებია ეთიკის კომისიას, ვინ ლაპარაკობს დასჯაზე და გარიცხვაზე, ხომ შეიძლებოდა სარეკომენდაციო ბარათი დაეწერათ, რასაც არ აკეთებდნენ არასოდეს. დავანებოთ ამას თავი. ნდობის საკითხი დგას. არსებობს მოდელები, რაც გოჩამაც აღნიშნა, სადაც მონაწილეობს სასამართლო, იქ იმიტომ ამართლებს, რომ ნდობა არსებობს. სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე ესტონეთის მოდელზე იყო საუბარი, რომელიც არის მსგავსი. 15 კაციდან 3 რომ იყოს საზოგადოების წარმომადგენელი, რომელიც იქნება ცნობილი იურისტი. გეტყვი როგორ არის ესტონეთში.

ზვიად კორძაძე – როგორ წარმოგიდგენია, როგორ უნდა აირჩეს ეს სამი კაცი. არ მაინტერესებს ესტონეთის მაგალითი, სხვაგან როგორ არის არანაირად არ გვეხება ჩვენ.

დავით ასათიანი – ესტონეთში არის ცხრა კაციანი ეთიკის კომისია, სამი წევრიდან ერთს ნიშნავს უზენაესი სასამართლო, ოღონდ არა მოსამართლეს, არამედ ცნობილ იურისტს, მეორეს ნიშნავს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, და მესამეს – სახალხო დამცველი, რომელსაც აქვს ნდობა. მე პირადად ვეთანხმები ამ აზრს, თუ ოდესღაც მივალთ იქმადე რომ ეს საჭიროა. ჩვენთანაც ეთიკის კომისიიდან პირდაპირ მიდის უზენაეს სასამართლოში

ზვიად კორძაძე – უზენაეს სასამართლოში მიდის დასჯილი.

დავით ასათიანი – უზენაესი სასამართლო დანიშნავს ამ სფეროში მომუშავე ცნობილ იურისტს, მეცნიერს ამ კომისიაში, იგივე სახალხო დამცველი

დანიშნავს ერთ კაცს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დანიშნავს მესამეს.

ზვიად კორძაძე - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა როგორ უნდა დამინიშნოს ეთიკის კომისიის წევრი,

გოჩა სვანიძე – მანდ არ წერია წესი და საბოლოოდ ან იქნება ან არ იქნება. არის განსხვავებული აზრი, მე არ ვეთანხმები დათოს, მაგრამ არაფერი არ ჩაიწერება, იქნება არანაკლებ თორმეტი კაცი. ლაპარაკი იმაზეა, თუ ეს როდესმე ამუშავდება, მაგრამ ზოგადად მე ვეწინააღმდეგები რომ ეს სამი წევრი ვინმემ დანიშნოს.

ზვიად კორძაძე – ეს ხომ პრინციპული არარის ჩვენთვის, არც საბჭოსთვის არარის პრინციპული, მე ამას არ ვეთანხმები, არ არის საჭირო ჩვენი პოზიციის შერბილება.

როინ მიგრიაული – ზვიადი არ ეთანხმება, ზაზა არ ეთანხმება, მე ვეთანხმები.

დავით ასათიანი - საზოგადოების მხრიდან ნდობის ფაქტორის გასაძლიერებლად რომ იყოს ვინმე საზოგადოების წარმომადგენელი, მე ვეთანხმები ამას.

ზვიად კორძაძე - მოდი დავასახელოთ ეხლავე სამი იურისტი, რომელსაც თვლი მორალურად ღირსად, რომ განახორციელოს ეთიკის კომისიის წევრის ფუნქცია.

დავით ასათიანი – საკითხი დასმულია არაკორექტულად და გეტყვი რატომ, მე შემძლია დავასახელო რამდენიმე იურისტი.

ზვიად კორძაძე – არის რაღაცეები, რასაც მე ვერ ვხვდები რატომ მოხვდა საერთოდ. ჩემთვის გაუგებარია ჩვენგან რატომ მოხდა. ეს ცვლილება რომ შედის მაშინ ავტომატურად უნდა შევიდეს სხვა ცვლილებაც.

გოჩა სვანიძე - თუ ეს ცვლილება შენ გავალებს, რომ სამი წელი სხვა წესით უნდა მოიწვიო, როცა სახელმწიფოს წარმომადგენელი ამბობს, რომ მე ამას გაძლევ, როცა შესრულება უკვე, ჩვენ შევძლებთ წესდებაში ჩადებას.

ზვიად კორძაძე – ორი კითხვა მაქვს კიდევ, ერთი მე მგონია რომ აღმასრულებელი დირექტორს ცალკე მუხლი უნდა ქონდეს, აქ უნდა იყო კონკრეტულად განსაზღვრული აღმასრულებელი დირექტორის უფლებები. აქ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს რა იგულისხმება თავმჯდომარის არყოფნაში, ასევე საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობაში.

როინ მიგრიაული – ზვიადის მოსაზრებას მეც ვეთანხმები.

გოჩა სვანიძე - აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობის ფარგლები განისაზღვრება არმასრულებელი საბჭოს მიერ.

ზვიად კორძაძე – უნდა დაკონკრეტეს როგორც ფიგურა რას წარმოადგენს?

დავით ასათიანი – პასუხისმგებელი იქნება საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

ზვიად კორძაძე – ეს შეიძლება მისაღები იყოს მაგალითად გერმანიაში, სადაც არის დალაგებული და სადაც ადვოკატებს თავისი საქმე აქვთ, მაგრამ ჩვენთან ხომ არარის ასე, შემდეგ კრებაზე შეიძლება იყოს ხალხი რომელთა მიღებული წესდების შეგვრცხვება. ნორმალური ქვეყნისთვის ძალიან კარგი მოდელია.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ეხება საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მომხდარ ცვლილებებს. არის ნორმა, რომელიც ავლდებულებს პირს, საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებული ცვლილებები აცნობოს ასოციაციას, მაგრამ არაფერია ნათქვამი სანქციებზე, თუ არ აცნობა ამ შემთხვევაში რა მოხდება.

გოჩა სვანიძე – სანქციების საკითხი უნდა დარეგულირდეს წესდებით.

დავით ასათიანი - ჩვენ დღეს საერთაშორისო მხარდაჭერით, ჩვენს მიერ გატარებული გარკვეული სამუშაოებით, მივალწიეთ სიტუაციას, როცა სწორ გზაზე ვდგავართ.

ზაზა ხატიაშვილი – მე მხარს არ ვუჭერ საბჭოს მიერ თავმჯდომარის არჩევას. მე მხარს ვუჭერ ასოციაციის თავმჯდომარის კრების მიერ არჩევას, მე ვერ შევეწინააღმდეგები უმრავლესობას, მაგრამ ჩემი აზრი დაფიქსირდეს ოქმში, რომ მე მაქვს საწინააღმდეგო აზრი.

გოჩა სვანიძე – თავმჯდომარე ერთ წლიანია, ერთწლიანი. რეალურ საფრთხეს ვხედავ მიუღებელი არის ეს ვერსია გარკვეული მენტალიტეტის ჯგუფისთვის, რომელთაც სურთ რომ ჩაკეტილ სივრცეში იმოქმედონ. მე ვხედავ საფრთხეს რომ მთელი ჩვენი ნამუშევარი ჩაგვეყაროს წყალში. იურიდიული დახმარების სამსახურმა უკვე არასწორი ნაბიჯი გადადგა. წაიღო სისხლის საქმეების დიდი ნაწილი, ამ პროცესის ჩვენი მხრიდან გაჭიანურება არ შეიძლება.

როინ მიგრიაული – ეგენი მხოლოდ უმწეოებს ემსახურებიან.

გოჩა სვანიძე - ეს მოდელი არ უნდა ჩავარდეს. ყველა პოზიცია რაც ჩვენგან იყო დაყენებული გავიდა.

ზვიად კორძაძე – რატომ უნდა შეიტანოს ეს აღმასრულებელმა ასაბჭომ პარლამენტში, ჩვენ საერთაშორისო ორგანიზაციების მსგავსად უნდა დავწეროთ სარეკომენდაციო წერილი. როგორც კი ჩვენ ამას მივიღებთ ადვოკატების წინაშე ჩვენ ვაგებთ პასუხს. რატომ არ შეიძლება ადვოკატთა ფართო წრისთვის გახდეს ეს პროექტი მისარები.

დავით ასათიანი – ყოველთვის გამოჩნდება ჯგუფი, რომელიც უკმაყოფილო იქნება.

აღმასრულებელმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. აღნიშნული კანონპროექტის და სარეკომენდაციო წერილების გაგზავნა პარლამენტში.

2. დაევალოს აღმასრულებელი საბჭოს აპარატს წერილის მომზადება პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე.

გადაწყვეტილების მიღებისას დაფიქსირდა განსხვავებული აზრი ორ სხვადასხვა საკითხზე:

1. ზვიად კორძაძე და ზაზა ხატიაშვილი ეწინააღმდეგებიან ეთიკის კომისიის სამი წევრის სხვადასხვა სტრუქტურების მიერ დანიშვნას.
2. ზაზა ხატიაშვილი ეწინააღმდეგება ასოციაციის თავმჯდომარის აღმასრულებელი საბჭოს მიერ არჩევას.
გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ და ხელს აწერენ:

გოჩა სვანიძე

დავით ასათიანი

ზვიად კორძაძე

როინ მიგრიაული

ზაზა ხატიაშვილი